პარასკევი 5 ივნისი 1915 წ.

# სამშობლო

წ. I

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ც ა ლ კ ე ნ უ მ ე რ ი ე რ თ ი შ ა უ რ ი. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის [illegible] ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კი [illegible] გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ი ს ფ ა ს ი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 ს ა ა თ ს შ ე მ დ ე გ 4 მან.

№ 96 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 96

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ს ა მ შ ო ბ ლ ო“

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გ ა ზ ე თ ი ღ ი რ ს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები. რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

იოსებ მაქსიმეს ძე ხელაძე, მეუღლე მისი მაკრინე ოქროპირის ასული, შვილები: ნინა და გრიშა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ პირველთა უსაყვარლესი შვილის და მეორეთა ძვირფასი ძმის

პრაპორჩიკ ვახტანგ იოსების ძის ხელაძის

ნეშთი, რომელმაც გერმანელებთან ბრძოლაში 18 აპრილს გმირულათ განუტევა სული — ჩამოსვენებულ იქნა 4 ივნისს მათ ოჯახში სალორის ქუჩაზე, საკუთარ სახლში. დაკრძალვა მოხდება ამა ივნისის 7 რიცხვს, კვირას, ნაშუადღევის 4 საათზე, საფიჩხიის სასაფლაოზე.
პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე.

ქუთაისის მე—2, 3, 4 და 5 სამხედრო-სანიტარული ტრანსპორტის აფიცრები, მოხელენი, სანიტარები და მთელი შემადგენლობა ღრმა მწუხარებით აუწყებს პატივცემულ ქუთაისის საზოგადოებას, რომ გუშინ, 4 ივნისს, მოკლე ხნის ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ყველასგან საყვარელი ამხანაგი, უფროსი ურიადნიკი—

იასონ მიხეილისძე ასათიანი.

პანაშვიდი გადახდილი იქნება დღეს 5 ივნისს საღამოს 6 საათზე, მთავარანგელოზის ეკკლესიაში; ხოლო გაასვენებენ ლეჩხუმში ხვალ, 6 ივნისს, დილის 9 საათზე ექიმთა კერძო სამკურნალოდან. (თეთრ ხიდთან).
1—1 № 445

3 ამა ივნისს, ს. გეჯეთში ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა აზნაური

კონსტანტინე დავითის ძე ჯავახია.

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ შვილები: ბახვა, საჩინო და გიორგი კონსტანტინეს ძენი, ასული დესპინე გეგენავასი, რძლები: კატო, პატკუ, და ქსენია ჯავახიების მეუღლენი, სიძე კირილე თემურაზის ძე გეგენავა.
მიცვალებულის გასვენება დანიშნულია კვირას, 7 ივნისს, დილის ცხრა საათზე, ს. გეჯეთის მთავარ ანგელოზის ეკლესიაში, სადაც იქნება გადახდილი წირვა და პანაშვიდი. 2—1—442.

ღრმად დამწუხრებულნი თავადნი: დომენტი ფარნაოზის ძე ნიჟარაძე, ფარნაოზ ბ. ნიჟარაძე, კნ. კესარია ნიჟარაძისა, და დები: ეკატერინე ჩხეიძისა და ძატუ მგალობლიშვილისა, ძმები: გრიშა და ექიმები: კონსტანტინე და სიმონ ალექსის ძენი ჩიქოვანები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ: პირველი მეუღლისა, მეორენი რძლისა და მესამენი საყვარელი დის

ნინო (იგივე ჩაფული) ჩიქოვანის ასულის
კნ. ნიჟარაძის გადაცვალებას,

რომლის გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება კვირას, 7 ივნისს, ნაშუადღევის 3 საათზე, სოფ. ზედა მაღლაკში. 1—1—241

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

ექიმი რელიგიონი დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების (ქირურგიულ და ქალურ ავათმყოფთა) მიღება თავის ძველ ბინაზე. ავათმყოფების მიღება—დილის 12 საათიდან 2 სათამდი.

ექიმი ა. ტ. მულინი გადმოვიდა ქუთაისში თფილისის ქუჩაზე ჩიკვაიძის სახლებში. ღებულობს ყელისა, ცხვირისა და ყურებით ავათმყოფებს. დღით 2—3, საღ. 7—8. თ.

კბილის ექიმები
მენაღარიშვილი და ტრუფანოვა.
ბ ა თ ო მ ი დ ა ნ გადმოვიდნენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 8—2 და საღამოს 5—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

გაბრიელ იოსების ძე
ექიმი გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის
კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

ქუთაისის ქალთა საზოგადოების
წლიური კრება
შესდგება შავი ქვის საბჭოს დარბაზში 6 ივნისს, საღამოს 7 საათზე. გასარჩევია შემდეგი საკითხები: 1) გამგეობის არჩევნები, 2) ანგარიშის განხილვა.

ძმათა ქორქოლაძეების მაღაზიაში
(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)
მიღებულია დიდძალი
საპნის გასაკეთებელი „სოდა“
აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილად, აგრეთვე ნარდათ.

ქუთაისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ქალაქის საავათმყოფოში, სალორიის აგარაკში, გაიხსნა სამშობიარო განყოფილება, სადაც ყოველ დროს, დღითა და ღამით შეიძლება მიღებულ იქნენ მშობიარენი. 14-2—234.

დოქტორი მედიცინისა, პრივატ-დოცენტი ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის.
გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

ბებია მ. მ. კოხრეიძე უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა, სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

## ო მ ი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან).

### კავკასიის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 3 ივნისი. ოფიციალური კავკასიის ჯარის შტაბისაგან. ზღვისპირის გზით სროლაა. დერიკას და ნუხვაიდუკის უღელტეხილის რაიონში ქურთებთან უმნიშვნელო შეტაკებები ხდება. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

### აღმოსავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 2 ივნისი. უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბისაგან. შაველის რაიონში დიდი ცვლილება არ მომხდარა. ბრძოლა გრძელდება. ნარიოვის პირზე გერმანელებს 1 ივნისს ღამით უშედეგოთ მოქონდათ იერიშები მიშენეც-ვიახის მიმართულებით, იმავე დღეს კი რამდენიმე იერიში მიიტანა პრასნიშიდან ჩრდილოეთით მდებარე რაიონში; იერიშები მოგერიებულ იქმნა.

გალიციაში გერმანელებმა შეავსეს თვისი ჯარის ზარალი, მოიყვანეს ახალი ძალები და 30 მაისს ღამიდან დაიწყეს ახალი შემოტევა იაროსლავის მიმართულებით, მდ. სანის მარჯვენა ნაპირას; ქვეითა ჯარს ეხმარებოდა ძლიერი არტილერია. სამი დღე ღამის განმავლობაში სასტიკი ბრძოლის შემდეგ რუსებმა დასთმეს ზოგი ნაწილი დაპყრობილ ტერიტორიისა მდ. ლიუბაჩოვკისა და ვიზნის მარჯვენა ნაპირებზე. დნესტრზე 31 მაისს, რუსებმა სახეირო კონტრ-იერიშები მიიტანეს მდინარე ტისმენიცასა და სტრიის მარცხენა ნაპირებზე. აქ რუსებმა დაატყვევეს 1200 ჯარის კაცი, 29 აფიცერი და ხელთ იგდეს 7 ტყვიის მფრქვეველი. იმავე დღეს გერმანელებმა იერიშები მიიტანეს ჟიდაჩოვის სახადო სიმაგრეების წინააღმდეგ და დაიპყრეს სოფ. როგუზნო. მეორე დღეს განთიადისას რუსებმა სახეირო კონტრ-იერიში მიიტანეს, მათ უკან დაიბრუნეს სოფლები რაგუზნო და ფურავკა. ამასთანავე მათ ხელთ იგდეს ერთი ზარბაზანი და რამდენიმე ტყვიის მფრქვეველი. გერმანელებმა აქ თეთრი დროშა გამოაფინეს, შემდეგ კი გამცემებივით სროლა დაიწყეს. ამის გამო აქ რუსებმა ყველანი ხიშტებით დახვრიტეს. 1 ივნისს გერმანელები განაგრძობდნენ იერიშებს ნიჟნიოვთან მდებარე სახადო სიმაგრეების წინააღმდეგ. აქ მათ ბრძოლაში გაიყვანეს დიდი ძალები ძლიერი არტილერიით. 31 მაისის განმავლობაში იერიშების მოგერიების დროს რუსებმა ხელთ იგდეს 1500 მეტი ტყვე. დნესტრსა და პრუტს შუა ჩერნოვიციდან რუსებმა უკან დაიხიეს თავის სახელმწიფო საზღვრებისაკენ.

### დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** 3 ივნ. წარსულ ღამით ქვეითა ჯარის სამხედრო მოქმედება გრძელდებოდა არასის ჩრდილოეთით, ნოტრდამ-დე-ლორეტის და ნევილის სექტორში. არასის სამხრეთით ტუვენის ფერმასთან გერმანელების ყველა იერიში მოვიგერიეთ და შევინარჩუნეთ აღებული ტერიტორია. ნევილის ჩრდილოეთით ჩვენ დავიკავეთ გერმანელებს რამდენიმე ტელეფონის ადგილი. 2-ს ამ რაიონში მხოლოდ საარტილერიო სროლა იყო. 2-ს ღამით კენიერის სანგრებთან გერმანელებმა რვა ბატალიონით იერიში მოიტანეს. ტყვეების სიტყვით მტრის ზარალი დიდია. დანარჩენ ადგილებში ცვლილება არ მომხდარა. დილის სამ საათზე 23 ჰაეროპლანი კალსრუესკენ გაფრინდა და იქ ექვს საათზე გაჩნდენ—ჩამოყარეს 130 ყუმბარა 90 მილ. და 150 მილ. ყალიბისა. ყუმბარები ესროლეს სასახლეს, სადგურს და არსენალს. ბევრგან ცეცხლი გაჩნდა. აპარატებს ცეცხლი დაუშინეს, მაგრამ ყველანი ორის გარდა უკან დაბრუნდენ.

**პარიზი.** 3 ივნ. სენტეტიენში პუანკარემ და მილერანმა დაათვალიერეს ლუარის დეპარტამენტის სამხედრო ქარხნები.

რომის საფრანგეთის ელჩი ბარერი პარიზს მოვიდა.

### იტალიის ასპარეზი.

**რომი.** 2 ივნ. კადორში ღამით მტერს იერიშები მოქონდა. იერიშები მოგერიებულია. კარდევოლის ხეობაში ჩვენმა არტილერიამ ააფეთქა სამხედრო სურსათის საწყობი. კარნიაში მალბორგეტს ვესროდით და აქ ავაფეთქეთ გენზელის ფორტი. 30 მაისს ალპის კლდიან ადგილებში მიუხედავათ მედგარი შეტევისა ჩვენმა ალპის მსროლელებმა მტერი გადევნა, დაგვირჩა სამხედრო სურსათი და ტყვეებიც წამოვიყვანეთ. ჩვენმა არტილერიამ დაანგრია მტრის ბინა. აქედან მტერი გაიქცა პლეცისკენ. ტყვეების სიტყვით მტერი დიდათ დაზარალდა. ტყვეების უმრავლესობა სერბიაში ნაყოფი ჯარის კაცებია. მონფალკონში მტერს ტყის გადაწვა სურდა, მაგრამ აქედან ის ჩვენმა მსროლელებმა გადევნეს. უკანასკნელ დღეებში სიცხე ძლიერ აფერხებს საველე ცხოვრების პირობებს.

**რომი.** 2 ივნ. პალატის 92 დეპუტატი მოხალისეთ შევიდა ჯარში, ბევრი უბრალო ჯარის კაცის ხარისხით. მოხალისეთა შორის იმყოფებიან სოციალისტები—ბიზოლატი, ბენომი, არტურო ლაბრიოლა და რესპუბლიკანელი ფრანკაკრეტა.

### გემის ჩაძირვა.

**ლონდონი.** 2 ივნ. ჩრდილო ზღვაში გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა ჰულიდან ლონდონში მომავალი გემი „არგილი“. კომანდის ოთხი კაცი და კაპიტანის გვამი გავრიჩში მოიყვანეს.

**ლონდონი.** 1 ივნ. გუშინ ცეცხლმა ამსხვერპლა სუტერლენდის ჰერცოგის სასახლე შოტლანდიაში. სასახლეში მყოფი დაჭრილები, აგრეთვე ძვირფასი გალერეია გადაარჩინეს.

### არჩევნები საბერძნეთში.

**ათინა.** 2 ივნ. ვენიზელოს მომხრენი ერთხმათ აირჩიეს თექვსმეტ პროვინციაში

და ხმის უმრავლესობით 6 პროვინციაში. სამ პროვინციაში მთავრობის პარტიამ გაიმარჯვა. 316 დეპუტატიდან 193 ვენიზელოს მომხრეა, 100 მთავრობის მომხრე და დანარჩენი კი სალიტები და თეოტოკისტებია. მაკედონიის არჩევნების შედეგი ჯერ კიდევ არ იციან.

**ათინა.** 2 ივნ. დღემდის არჩეულია 316 დეპუტატი, აქედგან 193 ვენიზელოს მომხრეა და 93 კი მთავრობის; მათ შორის 60 მაკედონიიდან. პალატა შეიკრიბება 24 ივნისს და თავმჯდომარეს აირჩევს. მხოლოთ ამის შემდეგ აღიძრება კაბინეტის გამოცვლის საკითხი.

### სპარსეთი.

**ისპაჰანი.** 2 ივნ. მდგომარეობა იცვლება. ერთ ღამეს 10 გერმანელი აფიცერი მოვიდა ფიდაებით და 150 ბახტიარით, თან მოიტანეს იარაღის ტრანსპორტი. შირაზიდან ჯერ კიდევ არ გამოსულა ჟანდარმთა ასეული ფულის უქონლობის გამო. გერმანიის საკონსულოს დაცვა გაძლიერებულია. ყუმბარების დამზადებას და აგიტაციას გულმოდგინეთ ეწევიან რევოლიუციონერები. მთავრობა მათ არავითარ წინააღმდეგობას არ უწევს.

### ახალშენებში.

**ლონდონი.** 2 ივნ. ნიგერიის გენერალ-გუბერნატორი იუწყება, რომ 29 მაისს ქალ. გახუა დანებდა მოკავშირეთა ჯარს. გახუა გერმანიის საგულისხმო ადგილია მდ. ბენუეზე და გამაგრებული იყო.

### შეერთებული შტატების ნოტა.

**სტოკჰოლმი.** 2 ივნ. გაზეთების სიტყვით ამერიკის ნოტა მიუხედავათ მისი მეგობრული ხასიათისა ბევრი საგულისხმო საკითხს ეხება. გერმანიის მთავრობას სურს საკითხის მშვიდობიანათ გადაჭრა, რადგან ამერიკასთან ომი სამთა შეთანხმებას შეძლებას მისცემს ამერიკიდან სამხედრო სურსათი მიიღონ.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

### რუმინია.

„მორნინგ პოსტი“ იუწყება, რუმინიაში საყოველთაო მობილიზაცია დაიწყო და მისი გამოსვლა ახლო მომავალში მოხდებაო.

„უნივერსული“ ეხება მოლაპარაკებას რუმინიასა და სამთა შეთანხმების სახელმწიფოებს შორის და სიხარულით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ მთავრობა მოლაპარაკებას საიდუმლოთ ინახავს, რადგანაც ყოველივე მცირე ამბის გამოქვეყნებაც კი საზარალო იქნებოდა მოლაპარაკებისთვისაო. ზოგიერთმა ცნობამ, რომელმაც კი რუმინიის პოლიტიკურ მოღვაწეებამდი მიაღწია, აღფრთოვანება გამოიწვია მათში, ფიქრობენ, რუმინიის მოთხოვნილება დაკმაყოფილებული იქნებაო.

რუმინიელ სოც. დემოკრატების კავშირი ამ დღის მომავალში ომის საწინააღმდეგო მიტინგს მართავს. ამტკიცებენ, რომ გერმანელების აგენტები, ომის საწინააღმდეგოთ ფართო პროპაგანდას ეწევიან რუმინიელ სოციალ-დემოკრატებს შორისო.

არხანგელის მიდამოებში შეუპყრიათ 4 გერმანელი ტყვე. შეპყრობის დროს ერთი დაუჭერიათ.

პარიზიდან ცნობაა, ბრაიანის გადადგომამ ამერიკის პრესას და საზოგადოებრივ აზრზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინაო, თუმცა ბრაიანის განმარტებამ გერმანიის პოლიტიკურ წრეებში მოულოდნელი შთაბეჭდილება გამოიწვია: აქ მათი აზრით, ბრაიანის გადადგომა იმ ფაქტს ამტკიცებს, რომ ამერიკაში არის ჯგუფი, რომელიც გერმანიის პოლიტიკას იზიარებსო.

ფიქრობენ, თუ გერმანია ომს თავის დასკვნამდი მიიყვანს, მაშინვე შეერთებული შტატები მიმართავს ყველა ნეიტრალურ სახელმწიფოს ბოიკოტი გამოუცხადონ გერმანიას ეკონომიურსა და დიპლომატიურ საქმეში.

ბრაიანის გადადგომით გერმანელები ფიქრობენ, რომ საკითხის მშვიდობიანათ გადაწყვეტა შეუძლებელია, რადგანაც ბრაიანის მოადგილე მომხრე იქნება გაახორციელოს ყველა მუქარა, რაც კი ნოტაშია გამოთქმულიო.

„ფორვერტსის“ ნიუიორკელი კორესპონდენტი იუწყება:

იმ შემთხვევაში, თუ ომი მოხდა ამერიკაში გერმანელების სამხედრო მასალისა და სავაჭრო გემების კონფისკაციას მოახდენენო.

### ოსმალეთი.

კერძო ცნობებით, კონსტანტინოპოლში გაძლიერებულ აგიტაციას ეწევიან ახალგაზდა ოსმალების წინააღმდეგ, მიუხედავათ გახშირებულ ჩხრეკა-დაპატიმრებისა.

რუშჩუკით უკანასკნელ დღეებში გერმანიისკენ გერმანელ აფიცრების ბევრი ოჯახი მიემგზავრება.

ჩატალჯაში გაძლიერებული მუშაობა სწარმოებს პოზიციების გასამაგრებლათ. კონსტანტინოპოლში დარწმუნებული არიან, რომ მოკავშირეთა ფლოტი მალე გაარღვევს დარდანელს და ოსმალოებს მოუხდებათ თავის დაცვა ჩატალჯაშიო.

ოსმალეთის მინისტრები გაზეთებს ბულგარეთის შესახებ საქებ ცნობებს აწვდიან, არწმუნებენ რა ხალხს, რომ ოსმალეთ-ბულგარეთის კავშირი თანდათან მტკიცდებაო. კონსტანტინეპოლიდან გერმანელ აფიცრების ოჯახების გასვლა აიხსნება იმ გარემოებით, რომ კონსტანტინეპოლის ახლოს მოკავშირეთა ფლოტი გამოჩნდაო.

## „იმპერიალიზმი“ და ამერიკის ახალი სოციალისტები.

კაპიტალისტი, რომ ყველგან ერთნაირ ხასიათს იჩენს, ამის აშკარათ მაჩვენებელია ამერიკის დღევანდელი შეერთებული შტატები.

ვინ იფიქრებდა, რომ „მშვიდობის და დაუცხრომელი „შრომის“ მოყვარე“ ამერიკელიც ხმალზე ხელს დაიდებდა და „ძველი ქვეყნის“ ბატონთ შესძახებდა: შესდექით, თქვე საბრალონო, ფეხი არ გადმოდგათ ჩემს სამფლობელოში, თორემ სულ ერთიანათ გაგანადგურებთ და არც თქვენს „ძველ კულტურას“ დავინდობო.

ასე იმუქრება დღეს დედა-მიწის მეორე გვერდის მფლობელ-ბატონი, ახალი, უმწვერვალესათ გაძლიერებულ—განვითარებული კაპიტალიზმი, რომლის საოცარი მძლეთა-მძლეობა დღემდე მარტო ოქროთ სავსე უზარმაზარი ყუთებით გამოიხატებოდა. დღეს კი...მსოფლიო ომმა იმასაც აშკარათ დაანახვა, რომ ვისაც უნდა ოქრო-ვერცხლი გაიმრავლოს და ის ხანგრძლივათ შეინარჩუნოს, მას აუცილებლათ გალესილი ხმალიც ხელთ უნდა ეპყრას და ასე რაინდულათ თავს დასტრიალებდეს თავის ოქროს ზვინებს. ეს საჭიროება და მხედრული ზნე თავის დროზე შეიგნო და შეითვისა გერმანიამ და ამისთვის კიდეკ გახდა ის საყოველთაო თითით საჩვენებელი, კიდეც დაიჩემა მან მთელი მსოფლიო კაპიტალიზმის წინამძღოლის როლი და ყველა კაპიტალისტური ქვეყნების გეგემონიაც გამოაცხადა.

მაგრამ, როგორც ერთ წინა წერილშიაც ვთქვით, ისტორიამ კაპიტალიზმის სამი სხვადასხვა გეგემონია მოუვლინა კაცობრიობას. გერმანიაზე წინათ გეგემონიის როლში ინგლისი გამოდიოდა, ხოლო გერმანიის გამოსვლის შემდეგ ამერიკამაც გამოჰყო თავი. და სწორეთ ამათზე ითქმის: „ლეკვი ლომისა სწორია ძუ იყოს გინდა ხვადია“; მაგრამ „ლეკვს ლომისას“ ბასრი ბრჭყალები დაბადებიდანვე დაჰყვება ხოლმე... ინგლისს და ამერიკას კი, როგორც მძლავრს კაპიტალისტურ სახლმწიფოებს ლომის მსგავსათ „ბასრი ბრჭყალები“ „დედის მუცლიდან“ აღარ გამოჰყვათ და მხოლოთ ამ ბოლო ხანებში შეიქნენ იძულებულნი, რომ ისინიც ისეთივე ბრჭყალებით და ალმასის კბილებით შეიარაღდენ, როგორითაც გერმანია არის შეიარაღებული. ერთი სიტყვით, „მილიტარიზმი“, რომელსაც გერმანია თავიდანვე ატარებდა, მხოლოთ დღეს ცხადდება იმ ორ ხსენებულ სახელმწიფოში აუცილებელ საჭიროებათ და ახლა აპირებენ იქ „მილიტარიზმის“ გამოყენებას.

როგორ მოხდა, რომ სახელმწიფოთა შორის ამ ლომთა-ლომებს—ინგლისს და ამერიკას—მხედრობა არ დასჭირდა და მათ რეგულიარული ჯარი არ გაიმრავლეს და არ გაიძლიერეს? რატომ დაკმაყოფილდენ ისინი მხოლოთ ძლიერი ფლოტით? ამის პასუხს ადვილათ მივხვდებით, თუ გეოგრაფიულ ქარტას დავხედავთ და ამ ორი ქვეყნის მდებარეობას გავითვალისწინებთ.

ორივე ეს სახელმწიფო განმარტოვებულ კუნძულს წარმოადგენს; ისინი მიუვალი ოკიანებით არიან შემოზღუდულნი და მაშასადამე უცხო სახელმწიფოს თავდასხმისგან ბუნებით დაცულნი; ხოლო საქონლის გასატანათ და შორ ქვეყნებში გასასაღებლათ სრულიად საკმაო იყო ფლოტი. ეს ერთი ბუნებრივი პირობაა, მეორე არა ნაკლებ მნიშვნელობის პირობა, რომლის მიხედვით მათ მხედრობა აღარ დაჭირდათ, ეს ის გარემოებაა, რომ მათ გარშემორტყმულ ქვეყნებში თავდაპირველათ მეტოქეთ არავინ აღმოსჩენიათ, მათთვის კონკურენცია არავის გაუწევია; აქედან მხედრული ძალის დახმარებაც აღარ დასჭირდათ: ბაზარს ისინი მხოლოთ „ჯვრით ხელში“ და „ვაჭრული ხრიკებით“ იპყრობდენ.

ამ ორი საერთო მიზეზის გამო ინგლისშიაც და შეერთებულ შტატებშიაც „მილიტარიზმს“ დღემდე ნიადაგი არა ჰქონდა და მათი „იმპერიალიზმი“ ჩოთქით და აღლით შეიარაღებულ ვაჭარს წარმოგვიდგენდა. მათ შორის განსხვავება მხოლოთ ისტორიულია: სახელდობრ ის, რომ ინგლისი სსოფლიო სარბიელზე პირველ ეპოქაში გამოვიდა, ხოლო ამერიკა უკანასკნელ ხანაში გამოდის.

მაგრამ კაპიტალიზმის უკანასკნელ ხანაშივე გამოდის „ახალგაზდა გერმანიაც“, რომელიც თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულია და სამხედრო ძლიერებით არა თუ დედამიწის მფლობელთ, არამედ უცხო პლანეტათა მცხოვრებთაც კი „დაპყრობას“ ემუქრება და „ძალაც შესწევს ქადილსა“!

ამასთანავე რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო ხშირათ ისმოდა თოფ-ზარბაზნის ხმა, ხშირათ იმართებოდა ომი სახელმწიფოთა შორის და თანდათან ახლოვდებოდა საბედისწერო მომენტი და საყოველთაო ომის მოლოდინში სახელმწიფოები ერთი მეორის ჯიბრზე „მილიტარიზმს“ სულ უფრო და უფრო აძლიერებენ.

აი ამ დროს, „მშვიდობიან შეიარაღების“ ხანში იბადება „მშვიდობიან შეიარაღების იმპერიალიზმი“ და ინგლისიც და ამერიკაც ასეთ იმპერიალიზმის მომხრეთ გამოდიან. ინგლისი, როგორც მხცოვანი გამოცდილი ვაჭარი, როგორც ევროპის მოსაზღვრე უფრო ადრე მიხვდა, რომ „თავისუფალი ვაჭრობის“ პრინციპით დიდხანს ვერ იბატონებს „მშვიდობიანი შეიარაღების იმპერიალისტური“ პოლიტიკით ბევრს ვერას გააწყობს. ის მიხვდა, რომ შეიარაღებული რაინდი გერმანია მალე ხმალში გაიწვევს მას და ამიტომ ის ადრევე შეეცადა „თავისუფალი ვაჭრობის“ პრინციპიც დაეგმო თავის ახალშენებში მაინც და დამოუკიდებელი ქვეყნები მშვიდობიანი, „უსისხლო“ ზომებით დაეპყრო: მათზე „თავისი გავლენა გაევრცელებია“.

„გავლენის გავრცელებლათ“ კი საჭირო იყო ძლიერი მხედრობა და რადგან მას საკუთარი მხედრობა არ ჰყავდა, ამიტომ მან გერმანიას რუსეთის მხედრული ძალა დაუპირდაპირა და ამით შეეცადა ის თავის მეტოქის ალაგმვას მსოფლიო ასპარეზზე. ინგლის-რუსეთს საფრანგეთიც შეუერთდა და ამნაირათ გაჩაღდა ევროპის დიპლომატთა ესრეთ წოდებული „კონცერტი“. მაგრამ ამავე დროს დედამიწის მეორე გვერდზე საოცარი სისწრაფით ვითარდებოდა ახალი კაპიტალიზმი, რომელსაც თავისი ახალი იმპერიალიზმი უნდა წარმოეშვა და წარმოშობა კიდეც.

დ—ელი.

(შემდეგი იქნება).

## ებრაელის აზრი.

როდესაც ხუთი მაისის თარიღით „ნაშ. ვესტნიკში“ გამოქვეყნდა ცნობა, ვითომც შავლის რაიონში ებრაელებს თავის სარდაფებში ნემცები დაემალოსთ და ამით რუსების ღალატი გამოეჩინოსთ, ჩვენ ის გვაკვირდა, რომ ამისთანა საყურადღებო ცნობას რატომ არ ქონდა ნაჩვენები, რომელი წყაროიდან იყო ამოღებული და რა ფაქტებით იყო ეს ცნობა დასაბუთებული; რასაკვირველია, ამისთანა ცნობას სიხარულით შეხვდა „ნოვოე ვრემიას“ შავი ყორანი მენშიკოვი და თავისებურათ შეურია სხვადასხვანაირი საწამლავი და შხამი, არ მოუცადა, თვით იმავე ორგანოს გამოცხადებას, სადაც ნათქვამი იყო დამნაშავენი სამხედრო სასამართლოს გადეცნენო, ეგებ სასამართლოს აეხსნა მათი სიმართლე, მაგრამ მენშიკოვი და სიმართლე ერთმანეთს ძლიერ არიან დაშორებული. მისი მიზანია—ებრაელებზე ჭორების გავრცელებით „ერთგული“ სამსახური გაუწიოს რუსეთის მთავრობას. მაგრამ დღემდი ამ ომიანობის დროს სალაპარაკო საგანს ვერ პოულობდა, რადგანაც მთელმა ებრაელობამ თავი ისახელა რუსეთის ერთგულებით. ახლა კი უცებ მიზეზიც ნახა და მორთო თავისებურათ ლაპარაკი ებრაელების მოღალატობაზე. „ნოვოე ვრემიამ“ და მისმა გულმა მენშიკოვმა იმდენი მოთმინებაც ვერ იქონიეს, რომ სასამართლოს მსჯავრი მოესმინათ. განა წმინდა ფაქტად არ მიაჩნდა ყველას, ვითომც მელნიკოვის სახლში შემდგარიყოს ებრიელ მოღალატეთა კრება და კრების მონაწილენი სამხედრო სასამართლოში გადასცეს. დამნაშავეთა რიცხვი 25 კაცამდე იყო, ყველას სიკვდილით სასჯელი ელოდა, მაგრამ სასამართლომ ამ გარემოებას ფარდა ახადა, სიმართლე გამოაჩინა და გამოარკვია, რომ ეს დანაშაულობა მხოლოდ ორი უსაქმური პოლიაკების დაბეზღებით იყო ებრაელების თავზე მოხვეული. ბრალმდებელმა ბრალდებაზე უარი განაცხადა და მოითხოვა უდანაშაულოთა განთავისუფლება, რაც სისრულეში იყო მოყვანილი. განა ეს ფაქტი ნათლათ არ ამტკიცებს იმ გარემოებას, რომ ებრაელობას სდევნიან. ასევე მოხდა ქალაქ კოფიცოვაშიც: ერთმა ებრაელმა ტარლოვსკიმ ამსხვერპლა თავი, იმის გამო, რომ როდესაც ნემცები შევიდნენ მის სახლში დაბლა სართულში თხოვნით მიმართეს—გვიჩვენეთ რუსები სად არიან დამალულებიო; ებრაელმა მიუგო: აქ რუსები აღარ არიან, თუმცა ამ დროს ზევით სართულში ხუთი რუსის აფიცერი ყავდა დამალული. როდესაც ნემცებმა აფიცრები აღმოაჩინეს, ტარლოვსკი იქვე მოკლეს. როდესაც ნემცები ამ ქალაქიდან გავიდენ, მისი მოხუცი მამა და თვალსაჩინო პირნი ებრაელები დაატუსაღეს, ვითომც მათ ნემცების ტელეფონები ქონებოდეს. ასეთი ცილისწამება ადგილობრივმა ქრისტიანობამ ველარ მოითმინა და სიმართლე მთავრობას აუხსნა. მთავრობამ ორი თვის წვალების შემდეგ გაანთავისუფლა უდანაშაულოთ დასჯილნი.

როდესაც კი რაიმე ცილისწამება მოახვიეს ებრაელობას თავზე და ეს საქმე სასამართლომდი მივიდა, ყოველთვის უდანაშაულოდ გამოდიოდენ ებრაელები, რადგანაც ბრალდების საბუთები ჰაერში ჩამოკიდებული იყო.

აი რა მიზეზია, რომ მემარჯვენეების გაზეთები უდროოთ ალაპარაკდნენ, რადგანაც მათ იციან, სასამართლოში სიმართლე გამოაშკარავდება და ლაპარაკის საბაბიც აღარ ექნებათ. ასეთი ლაპარაკი კი „ნოვოე ვრემიას“ და მის თანამოაზრეებს ძალიან სჭირიათ. „ნოვოე ვრემიას“ მებაირახტრე ბ. მენშიკოვი, სხვათა შორის, ებრაელების სრულ უფლებებს ეხება და ამბობს: ამას შემდეგ რა უფლებით მოითხოვენ იგინი (ებრაელები) თავის უფლებებს. რის შემდეგ, მართალო მენშიკოვო? მართლა დაბრმავებული უნდა იყოს ადამიანი, რომ დღევანდელ ომში ებრაელების ერთგულობას არ ხედავდეს; ნახევარი მილიონი საუკეთესო შვილები სისხლს ღვრიან მტრის წინააღმდეგ; როგორც ამას წინათაც აღვნიშნე დიდი მსხვერპლი შესწირა პალესტინის ებრაელობამ რუსეთს და ოსმალების ქვეშევრდომებათ კი არ გახდნენ, რის შემდეგაც პალესტინის ახალგაზდობა ვინც კი მოახერხა გამოსვლა, რუსეთის ჯარში იბრძვის, ხოლო ვინც ვერ მოახერხა გამოსვლა, ინგლისის ჯარში ჩაეწერა და რუსეთის მტერს ებრძვის. გეკითხებით, ბ. მენშიკოვო, რატომ გადასწვეს ავსტრიელებმა ქალაქ ლაშჩოვში ხოლმის გუბერნიაში ებრაელების ქუჩები? განა იმიტომ არა, რომ მათ არ გამოუჩინეს არავითარი სანოვაგე არა სასურველ სტუმრებს?. სამაგიეროთ, როგორ დაუხვდნენ გადაბუგული ებრაელები რუსეთის ჯარს? მათი კეთილი გულით მოქცევამ ადგილობრივმა ღვდელმა გუბერნატორს წარუდგინა მათი თავშეწირულება, რომლებმაც, რამოდენიმე გამცემი პოლიაკი დაატუსაღეს. რისთვის დააკავეს ლოძის რაბინი და ექვსასი თვალსაჩინო ებრაელი გერმანელებმა და დღესაც კი არავინ იცის მათი ბედი? განა იმიტომ არა, რომ მათ რუსეთის ერთგულობას სწამებდნენ სინიავიდან თავდებათ წაყვანილ მღვდელთან და ქსენძთან ერთად განა მოხუცი რაბინიც არ წაიყვანეს? ეკლესიებთან ერთად განა ებრაელების სალოცავებიც არ აიკლეს, არ ააწიოკეს? განა იმიტომ არა, რომ ჩვენც იმავე მტრათ გვთვლიან გერმანელები, როგორც რუსებს? ინგლისის სიონისტების წარმომადგენელმა სირ მანტოფიერომ ასე გამოაცხადა: ჩვენ გერმანიაში მყოფს მთავარ კომიტეტს აღარ ვემორჩილებითო, რადგანაც იგი მტრის ქვეყანაში იმყოფება, და ჩვენც მტრები ვართ ერთმანეთისთა. „რუსკი ინვალიდში“ ძალიან ხშირათ ვკითხულობთ ებრაელების დასაჩუქრებას ორდენებით. № 101 და № 106-ში უმაღლესი მოწყალებით დასაჩუქრებული სხვადასხვა ორდენით ბევრი ებრაელი ექიმია. „ნოვოე ვრემია“ და „ზემშჩინაც“ ყოველს ცუდ სახელს გვაკუთვნებს, მაგრამ ამასაც კი ამბობენ, ებრაელები ჭკვიანები არიანო. მაშ თუ ებრაელები, მათი აზრით, ჭკვიანები არიან, ჭკვიანმა ნუთუ არ იცის მისთვის რა არის კარგი და რაა ცუდი?

დავით ბაბზოვი.

(დასასრული ხვალ.)

## ნარკვევი.

გაზეთი „საქართველო“ აგვიწერს რა საინგილოს ქართველ მაჰმადიანთა უმწეო მდგომარეობას, იმის გამო რომ, სხვათა შორის იგინი მოწყვეტილნი არიან ქართულ კულტურის გავლენას, სამართლიანათ ამბობს.

საინგილოს გადაგვარება, როგორც ყოველთვის და ყველგან, იწყობა სულიერ ჩამოშორებით: კლებულობს და თითქმის ისპობა ქართულ ენისა და წერა-კითხვის მცოდნე, სწყდება ძაფი ხულიერ ერთობისა, იშლება შეგნება ტომობრივ ნათესაობისა და ბოლოს განცვიფრებულნი ვგებულობთ, რომ საინგილო დასახლებულია უგვარტომო ქრისტიანებითა და მაჰმადიანებით, რომელთაც ქართველობასთან საერთო აღარაფერი შერჩენიათ, ვინაიდგან მათში შეგნება ეროვნებისა გაითქვიფა სარწმუნოებაში. სამწუხარო მაგალითი ამისა ჩვენ ცხადად მოგვევლინა აჭარასა, არტაანსა და შავშეთში, ეხლა კი ასეთივე მაგალითი მზადდება და დღეს თუ ხვალ წინ დაგვიდგება საინგილოში.

ფრიად მნიშვნელოვანი ეროვნული ისტორიული ვალი გვედება კისერზე, ჩვენმა წარსულმა და მომავალმა თაობამ თუ ვერ მოახერხა გამობრუნება გადაგვარების პროცესისა სამხრეთ საქართველოში, ეხლანდელმა თაობამ მაინც წელზე ფეხი უნდა დაიდგას, მთელი თავისი ძალღონე მოიკრიბოს, მოუჭრას საინგლის არხი აღმოსავლეთით და სამხრეთით მიმავალი და გადმოიყვანოს იგი იქით, საცა მრავალ საუკუნის განმავლობაში ჰქონდა სათავე და სულიერი აუზი.

ბ-ნი ედილი გვწერს: „საჭიროა წერაკითხვის საზოგადოებამ მიაქციოს ამ გარემოებას ფიცხელი ყურადღება და თავისს ერთ-ერთ პირველ მოვალეობად დაისახოს საინგილოში ერთი ორი სკოლის გახსნა, თუ არ გვინდა, რომ ქართველთა ხსენება სრულიად ამოვარდეს საინგილოში“.

წასულ და მომავალ მაჰმადიან ქართველთა დაბრუნება ისეთი დიდი საქმეა, რომ საამისოდ ხვალ თუ ზეგ ქართველ ხალხს განსაკუთრებული ფიქრი და ზრუნვა დასჭირდება. სანამ ეს ფიქრი საქმედ იქცევა და განსაზღვრულ ფორმაში ჩამოყალიბდება, საინგილოზე ზრუნვა მხოლოდ წ. კ. საზოგადოებას უნდა დაევალოს; მხოლოდ მან უნდა ითავოს საქმე, მხოლოდ მას უნდა ჩააბაროს მიმავალი მოძმეთა შორის სკოლებისა და სამკითხველოების მოწყობა.

ესევე გაზეთი ეხება რა ომის მიზეზებს, დასძენს:

უკამათო სინამდვილეა, რომ ეროვნული ინტერესი ყველა ღირებულების გამკითხავი ღირებულებაა. რომ იგია ერთად ერთი კერპი, რასაც დღეს ეწირება ეს აუარებელი სიცოცხლე. არა თვის საზღვრების დასარღვევად. არა თვის ენის, ეკლესიისა და სამართლის, არა თვის ეროვნული თავისუფლების დასამხობად და არც თავის ეკონომიურ კეთილდღეობის დასამხობად იბრძვის დღეს საფრანგეთი, თუ გერმანია! ხომ არა! ეროვნების ელემენტებმა, აქ რომ ჩამოვთვალეთ, ყველამ ერთად და თითეულმა ცალკედ სიკვდილი შეაყვარა ყოველ ფრანგს, გერმანელს, რუს თუ ინგლისელს. ეროვნულმა სახემ შექმნა თითეულში სიკვდილის შემყვარებელი ენტუზიაზმი. ეს დაურღვეველი სინამდვილეა. დასაბამიდან ასე იყო; გასულმა ორმოც წელიწადმა, სხვა და სხვა მიზეზის გამო, მივიწყების ლეჩაქით შებურა იგი; 1914 წელმა სინამდვილე გააშიშვლა. დღეის დღის ქართველმა უნდა შეიგნოს, თუ რისთვის იბრძვის ფრანგი თუ რუსი, უნდა იცოდეს რომ ერთიც ამაყობს დასახულ მიზნითა და მეორეც, და რომ არც მას დაეზარება თავი გამოიდოს მსგავსი მიზნისთვის; უნდა შეიგნოს, რომ იმასაც აქვს თავისი ენა, . . . . . . . . . . . .რომელთაც მიხედვა სჭირია. ეს უნდა გვახსოვდეს. იგი გაკვეთილია დიდი ცხრაას თოთხმეტისა!

სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ ნეტავ როდის შეიგნებს ამ ჭეშმარიტებას ის ნაწილი ქართველობისა, რომელსაც სულ წინააღმდეგს უქადაგებდენ და სულ წინააღმდეგში არწმუნებდენ?...

## დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე.

ტელეგრაფმა სამწუხარო ამბავი მოგვიტანა. პეტროგრადში ხანგრძლივ ავათმყოფობის შემდეგ, გულის სნეულობისაგან გარდაიცვალა მათი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე. ქართველი საზოგადოება გულრწფელის მწუხარებით შეეგებება ამ ამბავს.

უკანასკნელ წელს ულმობელმა ბედის წერამ ბევრი მწუხარება არგუნა დიდის მთავრის ოჯახს. რამდენიმე თვის წინეთ ომში გმირულად იქმნა მოკლული მისი შვილი ოლეგ კონსტანტინეს ძე. ამ დღეებში დაკრძალულ იქმნა მცხეთაში ომში გმირულათ მოკლული მისი სიძე თავადი კ. ა. ბაგრატიონ მუხრან-ბატონი. 2 ივნისს, საღამოს შვიდ საათზე მიიცვალა თვით დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე.

დიდი მთავარი დაიბადა 10 აგვისტოს 1858 წელს. იყო შეფი თბილისის გრენადერთა პოლკისა. მიიღო მონაწილეობა 1878-წლის რუსეთ-ოსმალეთის ომში და სილისტრიასთან ბრძოლის დროს გამოჩენილ სიგმირისათვის დაჯილდოვებულ იქმნა წმ. გიორგის 4-ე ხარისხის ჯვრით.

1900 წ. დანიშნულ იქმნა მთავარ უფროსათ სამხედრო სასწავლებლისა და სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტათ.

პიროვნება დიდი მთავრისა იმდენათ მდიდარი იყო, რომ არ განისაზღვრება ზემო ჩამოთვლილით. მისი სახელი, როგორც მაღალ ხარისხოვან მგოსნისა, ყველასთვის ცნობილია. მისი ლექსებში გამოსჭვივის არა მარტო ჭეშმარიტი მგოსანი, არამედ უმაღლესად ჰუმანიური და განვითარებული პიროვნება. მისი უკანასკნელი თხზულება „მეფე იუდეველთა“ შედევრია სადრამო ხელოვნებისა.

მის ღვთივ განსვენებულ ცხედართან მადლობა უნდა ვსთქვათ, რომ საქართველო და მისი ხალხი შორს არ უდგა მის მოსიყვარულე გულს. როგორც მგოსანი იგი გულმხურვალეთ ეკიდებოდა ქართულ ხელოვნების წარმომადგენელთ და ჩვენს პოეტესსა განდეგილს განსაკუთრებული უფლება მისცა მისი თხზულებანი ქართულათ გადმოეთარგმნა. უკანასკნელათ თბილისში ყოფნის დროს მან განსაკუთრებულათ მიიღო განსვენებული მსახიობი კ. მესხი და იმ დროს, როცა დიდი მთავრის დრამა „მეფე იუდეველთა“ მხოლოდ სასახლის სცენაზე თუ იდგმოდა, შეჰპირდა მის ქართულად წარმოდგენის ნებართვას. დიდი მთავარი ესკიზების გამოგზავნასაც კი შეჰპირდა პეტროგრადიდან. მაგრამ ქართველმა საზოგადოებამ ვერ იხილა უავგუსტოეს მგოსნის პიესა, რადგანაც მთარგმნელი პიესისა და მისი მომავალი რეჟისორი კ. მესხი მოკლე ხანში მიიცვალა.

როგორც დიდმა მთავარმა და როგორც სამეფო გვარის წევრმა მან უფრო მეტათ დაამტკიცა თავისი სიყვარული ქართველთადმი, როცა თვისი ასული მთავრინა ტატიანა, აწ განსვენებულ თავად კ. ა. ბაგრატიონ-მუხრან-ბატონს მიათხოვა.

მისი ღვაწლი, როგორც სახელმწიფო მოღვაწისა დიდია და მისი შეფასება ისტორიას ეკუთვნის.

რამდენიმე თვის წინეთ ჩვენი დედაქალაქი თფილისი და ქართველობა მადლობით და გულმხიარულათ შეხვდა თავის უავგუსტოეს სტუმარს. დიდმა მთავარმა კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ მაშინ, თავის შვილისშვილის თეიმურაზ მუხრან-ბატონის დაბადების აღსანიშნავად სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარს ძვირფასი ოქროს ლამფარი მიართვა. დღეს იგივე ქართველობა გულწრფელის მწუხარებით გაიზიარებს მის სიკვდილს.

## კვლავ არჩევანი.

(საურთ. ნდობის დირექტორის არჩევის გამო).

ამ დღეებში უნდა მოხდეს საურთიერთო ნდობის საზოგადოების დირექტორის არჩევანი. უკვე ბევრი რამ ითქვა ამ არჩევანის გარშემო და ეს ფაქტი მოწმობს, რომ ამ არჩევანით ჩვენი საზოგადოება მეტად დაინტერესებულია. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან საურთიერთო ნდობის ბანკი ერთი იმ დაწესებულებათაგანია, რომელთაც ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში თვალსაჩინო ალაგი უჭირავთ. და რომელთა განახლება და საღ ნიადაგზე დაყენება მორიგ საზოგადოებრივ საკითხად არის გადაქცეული. სწორეთ ამიტომ ჩემს თავს ნებას ვაძლევ მკითხველს გავუზიარო ჩემი აზრი იმაზე, თუ რით უნდა ვიხელმძღვანელოთ, როცა ასეთ თანამდებობაზე ვინმეს ვირჩევთ.

ყველასათვის ცნობილია, რომ ჩვენი ქვეყანა—მეტად მდიდარი ბუნებრივად—მეტად ჩამორჩენილია თავისი ვაჭრობა-მრეწველობით.

ჩვენ ბევრი გვყავს მოხელეები, ბევრი გვყავს საშუალო და უმაღლეს სწავლა მიღებული პირი, მაგრამ სულ ცოტაა ისეთების რიცხვი, რომლებიც თავისი საფუძვლიანი ცოდნითა და შრომის უნარით ცხოვრებასა და მისი თანამედროვე მოთხოვნილებებთან ახლოს იყვნენ. და, ჩემი აზრით, სწორედ ეს არის ჩვენი ეკონომიურ-კულტურული ჩამორჩენის ერთ-ერთი დიდი მიზეზი.

ეს ნაკლი ახასიათებს არა მარტო ჩვენი პატარა სამშობლოის ცხოვრებას, არამედ მთელ რუსეთსაც. მხოლოდ იქ,—რუსეთში, ჩვენზე უწინ შეიგნეს, რომ ვაჭრობა-მრეწველობის დარგშიაც უპირველეს ყოვლისა საჭირო არის **ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა.**

მართალია, ვაჭრობა-მრეწველობას ხელს ჰკიდებს ბევრი ისეთი, რომელსაც არამც თუ ღრმა მეცნიერული ცოდნა არ მოეპოვება, არამედ შეიძლება ხეირიანადაც წერა-კითხვის ცოდნა არ ჰქონდეს, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ ვაჭრობა-მრეწველობის დარგში მეცნიერული სხივი და საქმის საგანგებო ცოდნა საჭირო არ იყოს.

ეკონომიური აყვავება-განვითარება მთელი ცხოვრების ერთი უდიდესი ღერძია და თუ ჩვენ გვინდა, რომ ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრების და კერძოთ, ვაჭრობა-მრეწველობის საქმეს მტკიცე ნიადაგი ჰქონდეს, ჩვენ უსათუოდ უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენი სავაჭრო—სამრეწველო საქმეების სათავეში მოხვდენ სწორედ ისეთი ადამიანები, რომელთაც საგანგებოდ და საფუძვლიანად შესწავლილი აქვთ თანამედროვე ეკონომიური ცხოვრების მოთხოვნილებანი და მიმდინარეობანი.

როგორც მოგახსენეთ, ეს ასე თუ ისე უკვე შეიგნეს რუსეთში და სწორედ აქედან იწყება ვაჭრობა-მრეწველობის დარგში **ახალი ხანა**. მოსკოვისა და კიევის კომერციული ინსტიტუტები—სწორეთ ამის უტყუარი დამამტკიცებელი საბუთია. ბევრი ხანი არ არის, რაც მოსკოვის კომერციული ინსტიტუტი დაარსდა, მაგრამ აქ სწავლა მეტად ფართოდ და სერიოზულად არის დაყენებული, რასაც მეტად ხელს უწყობს საუკეთესო ძალების (პროფესორების) აქ თავის მოყრა. თავისი რეალური საგნებით ეს უმაღლესი სასწავლებელი აუარებელ ახალგაზდობას იზიდავს და ამნაირად ვაჭრობა—მრეწველობას თავისი საკუთარი შემოქმედებითი ძალები უჩნდება. მერე საიდან გაჩნდა ასეთი სასწავლებელი?

რუსეთის ვაჭარ-მრეწველები დარწმუნდნენ, რომ ძველი მამა პაპეული უწესრიგო და უთავბოლო საშუალებით შეუძლებელია მრეწველობის აღორძინება, რომ ვაჭრობის სულის ჩამდგმელი უნდა იყვნენ არა შემთხვევითი მისი სტუმრები, არამედ თვით მისი (ვაჭრობა, მრეწველობის) წიაღიდან გამოსული ძალები. ამიტომ დაარსდა კომერციული ინსტიტუტი ის, როგორც ვთქვით, მეცნიერულად ამზადებს ახალგაზდა ძალებს ვაჭრობა მრეწველობის გასაძლიერებლად და მათი რაციონალურ ნიადაგზე დასაყენებლად. ამ ნაირად მთელს რუსეთში უკვე არის რეალური ახალი მიმდინარეობა ვაჭრობა-მრეწველობის საქმეში. სწორედ ამ ახალი გზით ფიქრობენ რუსეთის ვაჭარ-მრეწველნი თავი დააღწიონ იმ უნუგეშო მდგომარეობას, რომელშიც დღეს რუსეთის ეკონომიური ცხოვრება იმყოფება.

ახალი შუქი, ახალი კომერციული პერსპექტივები—აი საითკენ გვითითებს ობიეტიურად რუსეთის სამრეწველო ცხოვრება, და ჩვენი ვაჭრობა-მრეწველობა, რომელიც რუსეთისაზე უფრო ჩამორჩენილია, ცხადია, ასეთივე გზას უნდა დაადგეს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ექნება აზრი ჩვენში კომერციულ სასწავლებლის და სხვა ეკონომიური კავშირების დაარსებას.

ყველა ეს იმიტომ არის საჭირო, რომ ცხოვრება ძალზე გართულდა. ის ყოველ დღე გვიყენებს წინ ახალ-ახალ მოთხოვნილებებს და საჭიროებას. დღეს დიდი სავაჭრო საქმის და დაწესებულების გაძღოლა ისე ადვილი და მარტივი არ არის, როგორც ეს უწინ იყო: გართულებული ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრება მოითხოვს შესაფერ ცოდნას, მეცნიერულ მომზადებას. უამისოდ ძველ დეფექტებს ჩვენ ვერ ავიცდენთ, ამიტომ მე გაუგებრობათ მიმაჩნია, როცა ბანკის დირექტორის თანამდებობაზე ისეთ ხალხს ასახელებენ, რომელთაც ვაჭრობა-მრეწველობის თანამედროვე საჭიროების და მოთხოვნილებების შესახებ თითქმის არავითარი წარმოდგენა არა აქვთ.

თუ დირექტორის მოვალეობა მხოლოდ ჯამაგირის მიღება და ქაღალდებზე ხელის მომწერა არის—მაშინ კი დირექტორობა ყველას შეუძლია. საბედნიეროდ ჩვენდა უკვე წავიდა ის დრო, როცა ყველაფერს ნაცნობობა და პირადი მეგობრობა ფარავდა, როცა საგანგებო ცოდნასა და მომზადებას მნიშვნელობა აღარ ქონდა. **ღრმა საფუძვლიანი ცოდნისა და მუშაობის უნარის მქონებელი ადამიანი**—აი ვინ არის დღეს ჩვენთვის ბანკის დირექტორად საჭირო.

**ს. ეზიკაშვილი.**

## ახალი ამბავი.

### ქუთაისი.

✦ ორშაბათს, 1 ივნისს, ქუთაისის სათავად-აზნაურო ქართული გიმნაზიის გამგე **ი. ა. ოცხელი** თბილისს გაემგზავრა. ბ-ნი ოცხელი მზრუნველთა ინახულებს გიმნაზიის საქმეების გამო.

✦ სოფ. შროშაში ამ დღეებში აკურთხებენ ქ. შ. წ. კ. გ. საზ. წიგნ-საცავ სამკითხველოს. მასთან ერთად ამავე სამკითხველოს სასარგებლოთ გაიმართება წარმოდგენა ადგილობრივ შკოლის შენობაში ახალგაზდა სცენის მოყვარეთა მიერ ზაალ ჩიხლაძის მეთაურობით.

✦ მე-2. ალექსანდრეს ქუჩის მცხოვრებნი სჩივიან, რომ ღამით ქუჩებში ფარნებს თავის დროზე არ ანთებენ და დიდ გაჭირვებას განიცდიან ამის გამო.

✦ ჩვენმა რედაქციამ მიიღო უმაღლესს საბჭოსაგან ქ. პეტროგრადში გამოცემული წიგნი: **დარიგებანი ჯარში გაწვეულთა და აგრეთვე ომში დაჭრილთა და მოკლულთა ოჯახებს**“. ამ წიგნაკში ფრიად ძვირფასი და ყოვლად საჭირო ცნობებია მოთავსებული: მაგ. ვისა აქვს უფლება დახმარების მიღებისა, ვის და როგორ უნდა მიმართოს დაზარალებულმა ოჯახმა, რა შემთხვევაში ენიშნებათ პენსია ომში დაჭრილთა და მოკლულთა ოჯახებს და სხვა. ეს **დარიგებანი** უკვე ითარგმნება ქართულად და მალეც შეუდგებით მის ბეჭდვას ჩვენს გაზეთში.

✦ ოთხშაბათს, 3 ივნისს, მოროლოსიელმა დასმა ბენეფისი გაუმართა თავისს დამსახურებულ მსახიობს **მანკოს**.

წარმოდგენას დაესწრო დიდძალი საზოგადოება და სხვათა შორის ქუთაისის გუბერნატორიც.

✦ მოლოროსიელთა დასის მეთვალყურე ქალი კვლავ განაგრძობს თავისებურ ლანძღვა-გინებასა და საზოგადოების შეურაცხყოფას. ოთხშაბათს, 3 ივნისს, მის მიერ გამოწვეულმა აყალ-მაყალმა მთელი დამსწრე საზოგადოება ფეხზე დააყენა. საზოგადოებამ მიმართა ამავე დასის გამგეს ბ-ნ გაიდამაკს, რაიმე ზომები მიეღო ამ ქალის წინააღმდეგ.

მეთვალყურე ქალი თანამდებობიდან გადააყენეს.

✦ **ქართველები ომში.** უკანასკნელ დროს დაჯილდოვებულ იქმნენ:

არმიის შტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი **ოდიშელიძე**—თეთრი არწივის ორდენით. მსროლელთა დივიზიის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი **გ. გაბაშვილი** წმ. გიორგის ორდენის 4-ე ხარისხის ჯვრით.

თბილისის ქართული დრუჟინის შტაბის კაპიტანი თავ. **ესტატე მაჩაბელი** და პრაპ. თავ. დ. **ბაგრატიონ-მუხრანბატონი** წმ. სტანისლავის 3-ე ხარისხით, პოდპ. გ. **ულენტი** პრაპ. თავ. დ. **თარხან-მოურავ** წმ. ანნას მე-4-ე ხარისხის ჯვრით ზედწარწერით. „გმირობისათვის“.

✦ ქუთაისის საოლქო სასამართლოს სესია დ. ჩოხატაურიდან უკვე დაბრუნდა.

✦ როგორც გვატყობინებენ, ქუთაისის განაპირა უბნებში დაიარება მარჩიელი კაცი. ეს კაცი თავის თავს ღვთისაგან გამოგზავნილათ სთვლის და ისედაც გაძვალტყავებულ ხალხს უკანასკნელ პურის ფულს ხელიდგან აცლის. ხშირია ისეთი შემთხვევა, რომ თითო მანეთსა და ათ-ათ შაურს აძლევენ. საჭიროა ამ მატყუარას ალაგმვა.

✦ ქალაქის თვითმართველობაში სიცხეების გამო მოსამსახურეთა მუშაობა დილის 8 საათიდან შუადღის 1 საათამდი იქნება.

✦ ქუთაისის საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობას სამშაბათს, 2 ივნისს, სხდომა ჰქონდა სხვა და სხვა საქმის გამოსარკვევათ.

✦ ორშაბათს, 7 ივნისს. ქუთაისის თვითმართველობის დარბაზში მოხდება თვითმართველობის გამგეობის საგანგებო კრება. კრებაზე განხილული იქნება სხვა და სხვა საკითხი.

**უბედური შემთხვევა რკინის გზაზე.**

მოსკოვ-ყაზანის რკინის გზის 240 ვერსზე 31 მაისს დაიმსხვრა რელსებზე სასიარულოთ მოწყობილი ავტომობილი. ავტომობილში ისხდენ რკინის გზის გამგეობის თავმჯდომარე ფონ-ზეკკი, გზის დირექტორი აბრაჰამსონი, ინჟენერი სლუგგე, გზ. უფროსი ბროჟსტოვსკი. ავტომობილს ღერძი გაუტყდა. ავტომობილში მჯდომნი გადმოცვივდნენ. მოკლულია შოფერი, მძიმეთ დაშავდა ბროჟელოვსკი.

**ნიჟნი ნოვგოროდი.** 2 ივნ. მოსკოვში გაგზავნეს მოკლულ ინჟენერის სლუგგეს, შოფერის მოროზოვის და გზის უფროსის ბროჟსტოვსკის გვამები. ავტომობილი მიდიოდა 80 ვერსის სიჩქარით. დირექტორი მძიმეთ დაიჭრა, ფონეკკმა ხელი მოიტეხა.

**გერმანელების ქონების კონფისკაცია კავკასიაში.**

მთავრობამ კანონიერათ სცნო 2 თებერ. 1915 წ. კანონს დაუქვემდებაროს გერმანელების უძრავი ქონება ჭიათურის რაიონში. ეს ქონება შესდგება 61 დესეტინა მდიდარი შავქვიანი ადგილისაგან, 12 შენობისაგან და 2 სარეცხი ქარხნისაგან. ეს ქონება დიდ ღირსებულებას წარმოადგენს.

## სადღეისო საკითხი.

ყოველი საქმე მომზადებას ითხოვს, ახალი მით უფრო. ღვთის მადლით, ვგონებ, ჩვენშიაც აპირობს ნელ-ნელა ფეხის მოკიდებას ის დიდებული და დიდი ხნით ცნობილი პედაგოგიური დებულება, რომელიც ღაღადებს: „ნაცნობიდან უცნობზეო“. ახალი ცირკულიარით კერძო საშუალო სასწავლებლებს ნება ეძლევათ უმრავლესი საგნები შეასწავლონ ბავშებს სამშობლო ენაზე. ეს ფრიად დიდი საქმეა და ჩვენგან მოითხოვს შესაფერ მომზადებით შეხვედრას. ჩვენი ახალი თაობის განვითარების საქმეში დგება სულ ახალი ხანა-ხანა, რომელიც სიბნელეს ააშორებს ჩვენ ახალ თაობას, რომელიც დღემდი აუტანელს ანტიპედაგოგიურ გზაზე იდგა და თავი ვერაფრით დაეფარა. ჩვენის მხრით დიდი შეცდომა და დანაშაულობა იქნება, ვერ ვისარგებლოთ, ვერ გამოვიყენოთ ეს ბოძებული უფლება. ჩვენ უნდა ვეცადოთ ისე დავაყენოთ საქმე, რომ სანანებლათ გაუხდეთ ის, რომ რატომ დღემდი არ მოხდა ამ უფლების ბოძებაო და ეს მოხდება მაშინ, თუ ჩვენ ყოველ ძალ-ღონეს ვიხმართ ამ ცირკულიარის პრაქტიკულათ საფუძვლიან კალაპოტში მოქცევას. რა არის ამისთვის აუცილებლათ საჭირო? პირველ-ყოვლისა პროგრამების დამზადება ქართულ ენაზე და ამასთანავე ამავე ენაზე მომარაგება სახელმძღვანელოებისა. მე დარწმუნებული ვარ, ჩვენ პედაგოგებს შეგნებული ექნებათ ეს დიდმნიშვნელოვანი საქმე და არ ვფიქრობ, სამზადისსაც შემდგარი არ იყვნენ, რომ საქმის დაწყების დროს რაოდენიმეთ მაინც დამუშავებული მასალა წინ გვედვას; ამისთვის თავისუფალი დროც ახლაა. ვინ იტყვის, ეს დრო საკმაო იქნება, მხოლოდ დაწყებისთვის ესეც კმარა და რაიცა შეეხება შრომის განგრძობას და გაფართოებას, ამისთვის შემდეგი მომავალი დრო უნდა გადავდვათ შეუწყვეტლათ. მე ვფიქრობ, რომ ჩვენი მამებიც სხვას არ ჩამორჩებიან და სამღრთო რჯულშიც ეცდებიან შესაფერ პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შემუშავებას. ეს ძნელი საქმეა, მაგრამ ყოველი ძნელი საქმე დაიძლევა და გაადვილდება ცოტა-ცოტა დაკვირვებული და დამშვიდებული შრომითა და მუყაითობა-მაცადინეობით. რა გასაკვირალია თუ დღემდი ჩვენ არ გვქონდა ასეთი სახელმძღვანელოები, ან თუ გვქონდა და მეტათ მცირე, რადგან მოთხოვნილება ცოტა იყო [illegible] ზეზით, დღეს ნელ-ნელა, როგორც სხვაგან, ჩვენშიაც გაჩნდება [illegible]. მხოლოდ პირველ დაწყებისას სიძნელის ასაშორებლათ წინდაწინ რაოდენიმეთ დამუშავებულ მასალას დიდი მნიშვნელობა ექნება საგნების შეთვისებაში; და რაც მეტი გამოცდილი და შეგნებული პირები შეუდგებიან ამ საქმის შესრულებას, მით უმჯობესი იქნება. მათ უნდა ქართულ ენაზე არსებული წიგნები გადაათვალიერონ და მათგან აირჩიონ საუკეთესონი; რომელიც არ მოიპოვება, უნდა ხელახლად დამუშავებული იქნას თანამედროვე პედაგოგიკის მიხედვით. შესაძლებელია პირველათ დამუშავებულ სახელმძღვანელოებს თავის ნაკლი ჰქონდეს, მაგრამ ბეჯითი შრომით ეს სახელმძღვანელოები თანდათან გასწორდება, შეივსება და სასურველ დონეზეც დადგება.

ერთ პირს ყოველთვის რაოდენიმე პირი სჯობს, ერთ ჰკუას—ორი. თფილისში თუ რუსულ ენის ჯეროვნათ დაყენებისათვის მუშაობს კამისია, ჩვენში განა არ შეიძლება კამისიამ იმუშაოს; ღმერთმან ნუ ქნას რომ ჩვენ ისე გავცალკევდეთ და მიუკარებელი გავხდეთ ერთმანეთისათვის, რომ ამგვარ დასავალებელ საქმეშიაც შრომის უნარი ვერ გამოვიჩინოთ. ეს არ მჯერა, თუმცა ამაზე ქაქანმა და ბუკის ცემამ ყურები გამოჭედა.

აქვე უნდა მივუთითოთ იმ საშინელ მდგომარეობაზე, რომელშიაც ჩაყენებული იყო როგორც მასწავლებელი, აგრეთვე მოსწავლე სამღრთო სჯულის სწავლებაში. ლოცვებსა და სხვა მასალასაც ბავში ითვისებდა სრულებით თუთიყუშივით, არ ესმოდა ბევრი სიტყვა და გამოთქმა ბავშს, ქართულად არ შეეძლო ახსნა და რუსულათ ახსნა კი იწვევდა უფრო დიდ გაუგებრობას და სიბნელეს. შედეგი კი ამისი, ცხადია, იყო ბავშის სასოების დაკარგვა და დახშვა, სწავლება სარწმუნოების გრძნობას ვერ აღვივებდა ჯეროვნათ, პირ-იქით აქრობდა ბავშის გულში. დღეს, მეოცე საუკუნეში მაინც ველირსეთ ამ ანტიპედაგოგიურ სისტემის მოსპობას; აწი აღარ გავიგონებთ შეუგნებლათ ხმარებულ ფრაზებს: „ни очисти ны отъ всякія скверны, ან „хлѣбъ носъ носущный датдь намъ“ და სხვა.

წინათ ოჯახი გავლენიანი იყო; დედა დინჯი და საფუძვლიანათ შეგნებული თავის ენაზე, ბავშსაც ავარჯიშებდა ღვიძლ ენაზე და ასეთი მომზადებული ბავში ყოველივე შკოლის ქარტეხილს უძლებდა და იტანდა, ახლა კი დედები გადაგვარდენ, ოჯახი აირია და სრულიად დაემორჩილა შკოლის მოთხოვნილებას ამ მრუდე საქმეში. აი, ამგვარ სამწუხარო შედეგებს აგვაშორებს მოხსენებული ცირკულიარი, მხოლოდ ჩვენ ჯეროვნად შეუდგეთ მის რეალურ განხორციელებას ქართულ ენაზე.

**დეცემ.**

## წერილი რაჭიდან.

აპრილის ბოლო რიცხვების სიცივეებმა, თითქმის სანახევროთ და ზოგან მეტათაც გაანადგურა ვენახები და ნათესები. ამ გარემოებას თუ იმასაც დავუმატებთ, რომ შაბიამნის შეძენა ბევრმა ვერ შეძლო სიძვირის გამო და უმეტესი ნაწილი ვენახებისა უწამლოთ რჩება, მაშინ თამამათ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ წელს რაჭაში ღვინის მოსავალი სრულიად უმნიშვნელო იქნება.

რაც შეეხება ბ. ბერეკაშვილის მიერ ნაჩვენებ ახალ საშუალებას ვენახების საექიმოთ, არა მგონია, რომ ამ საშუალებას ჯერ-ჯერობით ვინმემ მიმართოს, რადგანაც აქაური გლეხი ბუნებით ეჭვიანია და ადვილათ არაფერს დაიჯერებს, ვიდრე გამოცდილება არ დაამტკიცებს ახალი საშუალების ვარგისობას. სწორეთ ასე მოხდა პირველათ შაბიამნით წამლობის შემოღების დროს.

არც სიმინდისა და პურის მოსავალს ეტყობა ხეირი და ხილი ხომ ყველგან მოსპობილია. სიმინდი და პური სიცივეების გამო ძლიერ დაზიანდა, ბევრ ალაგას ჯერ არც კი დახნულა სასიმინდე ყანები და აწი დახნულ-დათესილისა კი ძალიან ცოტა იმედი უნდა გვქონდეს, რადგანაც რაჭაში ზამთარი ადრე დგება და შემოდგომის რთვილი უსათუოთ და აზარალებს ნაგვიანებ ნათესებს.

სიმინდის ფასმა ძალზე აიწია. რაჭა-

სამეგრელოში სიმინდის მოუსავლობა ყველაზე უფრო რაჭველ ხალხს დაეტყობა ხოლმე, რადგანაც იქიდან ეზიდებიან სიმინდს და რას მოიტანდენ რაჭველები, როცა სამეგრელო დაიშა, ერთად ერთი იმედი თერგის ოლქია, სადაც სიმინდი საკმაოთ მოვიდა და არც ისე ძვირათ ფასობს, მაგრამ ივლისის შუა რიცხვებამდი, ვიდრე მამასონზე თოვლი იქნება და საურმო გზა არ გაიხსნება, მისი გადმოტანა მოუხერხებელია. მანამდი კი ჩვენ-ჩვენი დაგვემართება.

მაისის პირველ რიცხვების ნიაღვრებმა და წყალდიდობამ, სულ ერთიანათ წალეკა და გააფუჭა შიგა სოფლებში გზები, ხოლო რიონზედ ხიდიკრის (ს. წესში). ხიდიდან მოტანებული ვიდრე 50 ვერსის მანძილზე ალარც ერთი ხიდი და ბორანი არ დაუტოვებია წაულებელი, მთელი ნახევარი რაჭა მოწყვეტილი შეიქნა ქვეყანას უგზოობისა და უხიდობის წყალობით. სოფლებში ისე წალეკილი გზები და ალაგ-ალაგ ისეთი ლაფები სდგას გზებში, რომ არაფერ ძალას ურმის დაძვრა არ შეუძლია. უხიდობისა და უგზოობის გამო მომეტებულათ შეწუხებულია ბუგეულის საზოგადოება. ეს საზოგადოება რამოდენიმე წელია, რაც თავის ხარჯით აკეთებს ს. ბუგეულში ხიდს მდინარე ლერიონზე, ამ ხიდის საშუალებით ბუგეულები უერთდებიან საფოსტო გზას, ყიფიანებისა და მოსეშვილის მთებს, საიდანაც ყოველ წლივ ხის მასალა და შეშა გამოაქვთ, ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებს ს. სადმელში და ჭრებალოში, ბუგეულის იარმუკას და სარგებლობენ გაღმა მხარეს მდებარე წისქვილებით, ხოლო რიონ გაღმა მდებარე სოფლებისთვის და საზოგადოთ ზემო რაჭისთვისაც ბუგეულში უხიდობას დიდი შევიწროება მოსდევს, ვინაიდან მთელი რაჭის ღარიბი მცხოვრებნი ყოველ ზაფხულს ბლომათ ეტანება ბუგეულის სამკურნალო გოგირდის წყალს და ვისაც სიღარიბის გამო დიდ კურორტებზე წასვლა არ შეუძლია, მისთვის დიდი დანაკლისია ბუგეულში უხიდობა.

მთავრობასაც შეგნებული აქვს ამ ხიდის საჭიროება და კიდევაც შეიტანა საერო ხარჯთ-აღრიცხვაში, მაგრამ დროთა ვითარების მიზეზით, მოკლე მომავალში არ უნდა მოველოდეთ მთავრობის მიერ მის გაკეთებას, თუმცა კი, როგორც ამბობენ, ბუგეულელებს მიუმართავთ თხოვნით ბ. ქუთაისის გუბერნატორისათვის მის აქ ყოფნის დროს წარსულ კვირაში. ბ. გუბერნატორიც დაპირებია შემწეობის აღმოჩენას, მაგრამ არ ვიცით რა დროისთვის აღმოგვიჩნდება დახმარება. საჭიროება ხიდისა კი დიდია.

არც ონის ხიდი არის რიონზე სასურველ მდგომარეობაში, წყალ-დიდობამ იგიც დააზიანა და სამი-ოთხი დღის წინათ ადგილობრივმა სამაზრო მთავრობამ უკვე დაკეტა იგი დატვირთული ურმისა და საპნიანი ცხენებისათვის, ხოლო საქვეითოთ და მსუბუქ ტვირთისთვის გასატან-გამოსატანათ არის გახსნილი, რაც დიდ დაბრკოლებას აძლევს კერძოთ ონელებს და საზოგადოთ გაღმა-გამოღმა მცხოვრებლებს და ონში მომავალ მგზავრებს. ბუარებელი საქონელი, რომელიც ქუთაისიდან ონში კამეჩის ურმებით მოაქვთ, ხიდ-გაღმა უნდა გადმოაწყონ, ნაჭერ-ნაჭერათ დაშალონ, ხიდზე ზურგით უნდა გაიტანონ და იქიდან ზოგი ურმით და ზოგი ისევ ხელით უნდა წაიღონ ონში, რომელიც კარგა მანძილზე არის დაშორებული ხიდიდან.

ამ ოპერაციისთვის ვაჭრებმა ზედმეტი ქირა უნდა აძლიონ გადამტან-გადმომტანლებს და ეს ხომ ჩვენი გადასახდელია ამ საშინელ დროს, როდესაც სუყველაფერს ფასი ერთი ორათ ადევს.

ონში ერთი სომხის ტერტერა გვყავს ტერ-აბგარ ბერუჩიანცი (მისი ნამდვილი გვარი, როგორც სხვა მისი სახლი-კაცებისაც, ბერუჩაშვილია, მაგრამ პატივცემულმა მოძღვარმა სომხური პატრიოტიზმის ზედ-გავლენით თავის გვარი **იანცით** დააბოლავა). ამ ტერ-ტერას რიგიანათ აქვს შესწავლილი მეფუტკრეობა, მაგრამ სასტიკი აღთქმა დაუდევს, რომ თავისი ცოდნა ამ დარგის შესახებ არავის გაუზიაროს და ყოვლად შეუძლებელია, რომ ვინმემ მისი დახმარებით რაიმე ხელმძღვანელობა მიიღოს ფუტკრის მოვლა-მოშენების საქმეში. ყოფილა ერთი მაგალითი, რომ ამ მოძღვარს ვიღაც ონელი მეწვრილმანე ვაჭრისთვის უსწავლებია ცოტა რამ მეფუტკრეობიდან, მაგრამ ფიცი ჩამოურთმევია, რომ ჩემგან ნასწავლი სხვას არ ასწავლოვო. ეშინია, მეტოქე არავინ გამიჩნდეს და შემოსავლის წყარო არ შემიმცირდესო.

სიბნელეში მყოფი მოძღვარი გვაგონებს სახარების იმ უდიერ მონას, რომელმაც უფლისაგან სასარგებლოთ ბოძებული ქანქარი მიწაში დაფლო და სარგებელი არ გამოაღებინა.

**გ. წულუკიძე.**

# მოწოდება ქართველი სამღვდელოებისადმი.

ქართველი სამღვდელოება უხსოვარი დროიდან გვერდში უდგა ჩვენ ხალხს ჭირსა და ლხინში. განსაცდელის დროს, რომელიც არა ერთხელ მოვლენია ბედკრულ საქართველოს ერს, ჩვენი სამღვდელოება არათუ სიტყვით ამხნევებდა თავის სამწყსოს, საქმითაც გულმხურვალე მონაწილეობას იღებდა იგი თავის ხალხის ბედ-იღბლის გადაწყვეტაში. საქართველოს ისტორიამ ბევრი მაგალითი იცის იმის, რომ ჩვენ ლაშქარს ხშირათ კათალიკოსები უწევდნენ წინამძღვრობას და მღვდლები და ბერები უბრალო ჯარის კაცებათ იყვნენ, რომლებიც, სხვასთან ერთად, სიცოცხლეს ანაცვალებდნენ თავის ტურფა და საყვარელ სამშობლოს. ჩვენი სამღვდელოება გარეშე განსაცდელის დროს უფრო დიდ გულმხურვალეობას იჩენდა ხოლმე და ერთი ორად აორკეცებდა თავის ენერგიას. შიმშილი და სხვა და სხვა გადამდები სენი, რომელიც ხშირი სტუმარი იყო ხოლმე ჩვენის ქვეყნის, სახელმწიფოსთან ერთად სამღვდელოების წყალობით ისეთ პანიკას ვერ იწვევდა ხალხის ფართო მასაში, როგორც დღეს. ასეთი იყო ჩვენი სამღვდელოების მოღვაწეობა უწინ, რომელსაც, საუბედუროთ, დღეს ველარ ვხედავთ.

ეს მეორე წელიწადი მიდის, რაც რომ ჩვენი ქვეყანა სასტიკ განსაცდელშია ჩავარდნილი. აჭარა აწიოკებულია, გურია და სამეგრელო დამშეული. ვფიქრობდით, რომ ყველაზე უწინ ამ უბედურობის შესამსუბუქებლად სამღვდელოება ამოიღებდა ხმას, მაგრამ, დიდებული ჩვენი გენათლების, ქუთათლების, ჭყონდიდლებისა და გაბრიელების მოადგილეებმა, თავის წმიდა მოვალეობის შესრულებას უღალატეს. ჩვენი ქვეყნის ყველა წრემ, მოსწავლე ახალგაზდობამაც კი, სხვა და სხვა კავშირი დააარსეს აწიოკებული აჭარლებისა და დამშეულების დასახმარებლათ და ქართველი სამღვდელოების მხრით კი ვერაფერს ამის მსგავს ვერ ვხედავთ. ეს მოვლენა დიდათ სამწუხაროა და სამღვდელოების არა კეთილმოსურნეებს სასაბაბს აძლევს სარწმუნოების წარმომადგენლებს უმოქმედობა და მოყვსისადმი უთანაგრძნობლობა უკიჟინონ. ამისთვის მოგმართავთ, ქართველო სამღვდელოებავ და გთხოვთ გაიხსენოთ რა ქრისტე მაცხოვრის სიტყვები: „მე ვარ მწყემსი კეთილი, მწყემსმან კეთილმან სული თავისი დასდვას ცოხვართათვის", გამოეხმაუროთ ამ ჩემ მოწოდებას და ისეთი კავშირი დააარსოთ, რომელსაც მიზნათ ექნება ჩვენი განსაცდელში მყოფი ძმების დახმარება და შველა.

გწამდესთ, რომ ასეთი თქვენი მოქმედება, თქვენს შელახულ სახელს დიდათ აამაღლებს და განამტკიცებს ხალხის-თვალში

**მ. ფარცხნალელი.**

# მოწოდება.

სოფელ თერჯოლაში (შორაპნის მაზრა) არსდება უფასო წიგნ-საცავი სამკითხველო. როგორც ყველას მოგეხსენებათ, სამკითხველო წარმოადგენს ერთ იმ კულტურულ დაწესებულებათაგანს, რომელსაც შეაქვს საზოგადოებაში განვითარება; რომ ამ დაწესებულებამ იარსებოს და შეიძლოს რიგიანად თავისი დანიშნულების ასრულება, საჭიროა ის იქნეს უზრუნველ ყოფილი ყოველის მხრით, როგორც წიგნებ-ჟურნალ-გაზეთებით, ისე ბინითაც და ამას კი სჭირდება შეგნებულ პირებისაგან დახმარება. ვაცნობებთ რა ამას პატივცემულ საზოგადოებას, სრული იმედი გვაქვს რომ ყოველი შეგნებული პირი მიიღებს მონაწილეობას ამ კულტურულ დაწესებულების რიგიანად მოწყობაში წიგნებით თუ ფულით. შემოწირულობა გამოიგზავნება შემდეგის მისამართით:

თერჯოლის საკრედიტო ამხანაგობის გამგეობას ანუ თერჯოლის ორკლასიან სკოლის ზედამხედველს.

——

# პასუხი გ. დ. ქებაძეს.

გაზეთ „სამშობლოს" 90-ე №-ში თქვენ მეკითხებით, თუ რა აზრით ვიხმარე ჩემს წერილში, რომელიც იყო დასტამბული მე 75-ე იმავე გაზეთის №-ში, „ყოვლად ცნობილი", უნდა მოგახსენოთ, ბ. დავით, რომ მე აზრათაც არ მომსვლია და არც რაიმე საბუთი მაქვს რომ მომსვლოდეს აზრათ თქვენი შეურაცხყოფა ამ სიტყვებით. ერთი რომ ამ სიტყვებისათვის მე ხაზი არ გამისვია და ნიშნებში არ ჩამისვამს, როგორც თქვენ თვითონ ინებეთ, მეორე კი ის არის, რომ ამ სიტყვების ხმარებით მინდოდა მეთქვა, რომ თქვენა ხართ მთელი ქუთაისის საზოგადოებისათვის ცნობილი. ან და მითხარით, განა ქუთაისში ვინმე მოიპოვება რომელიმე წრის ან დარგის ადამიანი, რომელმაც დათიკო ქებაძის სახელი არ იცოდეს?

მე მგონია, რომ თქვენ ცნობილი ხართ, როგორც კარგი მოლაპარაკე ყველა საზოგადო საქმეების გარჩევის დროს, ამასთანავე, მგონი, მიუდგომელი მოლაპარაკე, რომელიც პატივსა სცემს როგორც თავის აზრს, აგრეთვე სხვის აზრსაც. ღმერთმა დამიფაროს, რამე ცლახა მოქმედება მოგაწეროთ, მაგალითად იმისთანები, როგორც თქვენ ჩამოგითვლიათ თქვენ წერილში. ან როგორ მოგივიდათ აზრათ, რომ მე მაგისთანა რამე მეფიქრა. ჩემი აზრი თქვენზე როგორიც არის, თქვენ კარგათ იცით. რა თქმა უნდა, როგორც ყოველივე ადამიანს თქვენც გაქვთ უარყოფითი და დადებითი მხარეები, მაგრამ იმას ნუ მიაწერთ ადამიანს, რაც აზრათ არ ქონოდეს. იმედი მაქვს, რომ ამ პასუხზედ აღარ დამემდურებით და თქვენი სურვილი დაკმაყოფილებელი იქნება, თუმცა ამოდენი განმარტება, მგონი, სულაც არ იყო საჭირო.

**ი. პურადაშვილი.**

## პასუხათ ბ. მარიოდლის.

ბ. მარიოდლი თავისი წერილით, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ, „სამშობლოს" 76 №-ში, ბრალს სდებს წყალ გაღმა დუღაძის სულ მოედანზე მებუტკეებსა და ფეხზე მოვაჭრე ჩარჩებს, რომლებიც, ვითომც სანოვაგე როცა შემოდის, უნდა იტაცებდენ და მცხოვრებნი კი ვერას შოულობდნენ.—ამ მოვლენას ბაზრის ზედამხედველი ყურადღებას არ აქცევსო—ამბობს მარიოდლი. ეს ცნობა მართალი არ არის. და აი რატომ: აღნიშნულ მოედანზე მებუტკეები და სანოვაგის მოვაჭრე ჩარჩები სულ ხუთი არ გამოვა, დანარჩენები ზოგი ზეინკალია, ზოგი მესტოლე, ზოგი მეთორნე და სხვ. იმათაც სანოვაგის უდროოთ ყიდვის ნებას არ ვაძლევთდა კიდეც რომ რაიმე მოხერხებით ბაზრის ზედამხედველმა ეს ვერ შენიშნოს, განა რამდენი უნდა შეიძინონ ამ ხუთმა მებუტკემ იმდენი სანოვაგიდან, რომელიც ასე ბლომათ შემოდის ამ მოედანზე; ბაზრის ზედამხედველს მარტო ერთი უბანი არ აბარია, ქალაქის სხვა უბნებიც მის განკარგულებაშია, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ამ მოედანზე დღეში ორჯერ-სამჯერ ჩამოდის და თავის მოვალეობას წესიერათ ასრულებს. ამას მხოლოდ დანახვა უნდა, მეტი არაფერი.

**სამსონ ჩიქოვანი.**

## ფაქტიური შენიშვნა.

გაზ. „სამშობლოს" გუშინდელ ნუმერში მ. რაედენ ხუნდაძეს თავის „შეკითხვაში" სხვათა შორის ფრჩხილებში მოჰყავს, როგორც ჩემი ნათქვამი, შემდეგი სიტყვებით: „ყვავ-ყორნის ჩხავილს და მომაკვდავ კაცის ხრიალს გავს"-ო, მე ვერსად ჩემ წერილში ზმნა „ჰგავს" ვერ ვიპოვე და არ ვიცი, თუ სად ამოიკითხა და ან რად დასჭირდა მას ამ ზმნის შეთხზვა! ჯერ სახარება რომ სახარებაა, იქ დენაც შეგიძლიათ აქა-იქ თითო—ოროლა სიტყვა ამოგლიჯოთ და მერე თავისი გუნების ზმნა მიაწეპოთ, რომ გინება გამოვიდეს, თვარა ჩემ წერილის, რომ ეს დღე დაადგეს, რა გასაკვირველია. მწერლობაში მიღებული არ არის სხვისი აზრის განგებ დამახინჯება და არც სერიოზიულ მოკამათეს ეკადრება.

**დე—ზი**

# დაბა-სოფლები.

**რაჭა. ს. კვაცხუთი.** ამა წლის 17 მაისს, რაჭის მაზრის სოფ. კვარცხეთის წმ. გიორგის ეკლესიის მრევლმა კერძო განაჩენით დაადგინა, რომ ამიერიდან მათ ჩვეულებრივი წვეულობა—დღეობა აღარ გადაიხადონ აგვისტოს, ფერისცვალობის დღეს, რადგანაც დღეობის გამართვა მარიამობის მარხვაში, არა ქრისტიანულია და შეუფერებელი და მასთან ნივთიერათ დიდი საზარალოც არის. ნაცვლად ამისა, როგორც წმ. გიორგის ეკლესიის მრევლმა დააწესა ადგილობითი ეკლესიის დღეობათ 10 გიორგობისთვე. ვინც ამ განაჩენს დაარღვევს და 6 აგვისტოს სტუმრებს მოიწვევს, ის ადგილობითი ეკლესიის სასარგებლოთ იხდის ჯარიმათ 50 მანეთს და ეს განაჩენი თავისავე ძალაში რჩება. ვაცხადებთ რა ამას საქვეყნოთ, უმორჩილესად ვსთხოვთ ნაცნობთ, ნათესავთ, მეგობართ და ერთობით ყველას, 6 აგვისტოს სოფელ კვაცხუთში მოსვლით ნურც თავს შეიწუხებენ და ნურც ჩვენ დაგვატეხენ თავს მძიმე ჯარიმას.

მრევლის მონდობილობით მღვდელი

**ვლადიმერ ფოფხაძე.**

## დარიგება ვაზის ნაცრის წამლობაზე.

ნაცარი საშიშარი სენია ვაზისა; ის უჩნდება ვაზს მტევნებზე, ფოთლებსა და ყლორტებზე, მაგრამ ნაცრის მოქმედება უფრო მავნებელია ყურძნის მარცვლებზე. ახლა ყველამ იცის თუ როგორ დასკდება ხოლმე ნაცრისაგან უმწიფარი ყურძნის მარცვლები და გამოიფიტება.

ნაცრის წინააღმდეგ საუკეთესო საშუალება გოგირდია. ფხვნილი გოგირდი უნდა მიეფრქვეს ვაზს უქრულ, მშრალ ამინდში ისე, რომ გოგირდის ფერფლი ოდნავ უნდა ასნდეს ვაზის ნორჩ ნაწილებს. თუ მეტი შეიყარა გოგირდი ცხელ ამინდში ვაზის ფოთლებს და მარცვლებს სწვავს. გოგირდის შეუფრქვევლათ არ უნდა გადარჩეს არც ერთი ნორჩი ნაწილი (ფოთოლი, მტევანი ყლორტები) ვაზისა.

გოგირდით ვაზის წამლობა პირველათ უნდა მოხდეს—როდესაც ყლორტი ხუთი-ექვსი გოჯის სიგრძე გახდება. (ეს უნდა მოხდეს შაბიამნით წამლობამდე). მეორეთ უნდა უწამლოთ ვაზის ყვავილობის დროს. ამ დროს წამლობა ძლიერ საჭიროა და აუცილებელი, [illegible] პირველი წამლობა თუ ვერ მოხერხდა, ყვავილობის დროს წამლობა ვაზს [illegible] არ უნდა დააკლდეს, რადგანაც ხელს უწყობს ვაზის დაყვავილებას [illegible] მოხდეს როდესაც ყვავილი დაირჩევა, დასხლოვებით ივლისის პირველ ნახევარში. თუ ვინიცობაა ნაცარი მაინც გაუჩნდა ვაზს, გოგირდით წამლობას კიდევ გაიმეორებთ ნამეტურ წვიმიან წლებში.

გოგირდი ხმარებამდე უნდა გააშროთ მზეზე და გასცრათ.

გოგირდის საფრქვევ მანქანათა შორის აღსანიშნავია ვერმორელის მანქანა „ტორპედო".

საჭირო განმარტებისათვის შეიძლება მიმართოთ შემდეგი ადრესით: ქ. ქუთაისში მევენახობა-მეღვინობის კომიტეტის უფროს სპეციალისტს.

უფროსი სპეციალისტი **კ. ბერუკაშვილი.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

**ბ-ნო რედაქტორო!**

უმორჩილესად გთხოვთ მადლობა გამოუცხადოთ ბ-ნს ვექილს ზაქარია კ. მაჭავარიანს, რომელმაც კეთილი ინება და ჩვენ სამკითხველოს შემოსწირა ერთი წლით „სახალხო გაზეთი". აგრეთვე მადლობას ვუცხადებთ სტუდ. ლევან ზ. მაჭავარიანს,—რომელმაც შემოსწირა „ბეჭედი" და მასწავლებელ ქალს მაშურა სუხიაშვილისას ათი შაურის შემოწირვისათვის.

სამკითხველოს გამგის თანაშემწე მოწ.

**ბესარიონ გორგაძე.**

——

## ჩვენი ფოსტა.

1. **ნაჯიხევი.** ბ. ბესარიონს. თქვენს წერილს მამასახლისის შესახებ დავბეჭდავთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელსა და გვარს მოაწერთ, პასუხი გვაცნობეთ.

**რედ.**

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე.**

დაიბეჭდა და იყიდება ქ. **ოცხელის წიგნის მაღაზიაში** (ქუთაისში)

„НОВОЕ СЛОВО"

ახალი პირველდაწყებითი სახელმძღვანელო რუსული ენისა, მრავლად დასურათებული, ლექსიური განყოფილებით, რუსული ანბანით, კითხვისა და წერის სავარჯიშო მასალით, შედგენილი ს. ოცხელის მიერ.

**ფასი უდით 2 აბაზი.**

თვ.

**თ. მთავრიშვილის და ამხ.**

**წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიამ დაბეჭდა და გასაყიდათ გამოვიდა**

**„Цѣлебные минеральные источники въ Кутаисской губер."** ц. 20 к. კ. მაჭავარიანისა.

იბეჭდება და მალე გამოვა ქართული ენის სახელმძღვანელო „**გაზმულ სიტყვიერებითი ქრისტომატია: ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია**", შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. იქვე იყიდება ყოველნაირი ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელონი, საყმაწვილო წიგნები, ახალი რუსული და ქართული ლიტერატურული ნაწარმოები, გეოგრაფიული ატლასები, კარტები და ყოველნაირი საკანცელარიო ნივთები.

თ. მ.

**უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია**

**კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში**

**ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.**

**კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში** მოიპოვება ყოველ გვარი **სახელმძღვანელო** და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე გვერდით გამართულია **ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა**, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.

—— **კ ა ტ ა ლ ო გ ე ბ ი  უ ფ ა ს ო თ** ——

თ.

**ნუნისის სამკურნალო ბუნებით თბილი**

**ა ბ ა ნ ო.** აბანო ნუნისი, ანუ მუნისი, რომელიც შეუმჩნევია ხალხს, უხსოვარი დროიდან, როგორც მუნისაგან განმკურნავი უებრაი საშუალება, ჰკურნავს გასაკვირველად ყოველნაირ კანის ავადმყოფობას და მასთან დიდ საშუალებას აძლევს ავადმყოფს სხვადასხვა სენის წინააღმდეგ. მდებარეობს შორაპნის მაზრაში, მოლითის სადგურიდან 6 ვერსის მანძილზე, მაღლობზე ნამჟნარში. სეზონი იწყება 15 მაისიდან და გრძელდება 1-ს ოქტომბრამდე.

თ. 215

სწრაფ მბეჭდავი სტამბა ი. კოხრეიძისა—ქუთაისში.